სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

26 ნოემბერი 2024

N 21/12042

შპს „სტანდარტს“
მის: ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა, II შესახვევი,
N15, კორპუსი N3, ბინა N50ა
ელ. ფოსტა: Giobuka123@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N4433 და N10212 განცხადებები, რომლებიც ეხება ქ. რუსთავში, ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს N21/7918 წერილით მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი იყო, ნარჩენების აღდგენის მიზნით გათვალისწინებული დანადგარების შესახებ ინფორმაცია (მოდელი, საპასპორტო მონაცემები, წარმადობები და სხვ.), რაზეც რეაგირების გრაფაში მითითებულია - გზშ-ის პარაგრაფი 4.2. თუმცა არც აღნიშნული პარაგრაფი და არც გზშ-ის ანგარიში არ მოიცავს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარ-მოწყობილობები არის დამზადებული სპეც-შეკვეთით შესაბამისად, მათი საპასპორტო მონაცემები არ არსებობს. **შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარ(ებ)ის შესახებ, სადაც მითითებული უნდა იყოს დანადგარ(ებ)ის მწარმოებელი, ტექნიკური მახასიათებლები და სხვა მონაცემები.**

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა გვერდზე მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ: ,,მოხდება სს“ სარინას“ ტექნოლოგიური დანადგარების დემონტაჟი და ამავე ტერიტორიაზე შპს „სტანდარტის“ საწარმოო ციკლის მოწყობა;“ ,,გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა შემუშავებულია მხოლოდ ექსპლუატაციის ეტაპისთვის, რადგან არ იგეგმება მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, რაც თავის მხრივ არ საჭიროებს აღნიშნული გეგმის შემუშავებას, პროექტის ფარგლებში ძირითადად გამოყენებული იქნება სს ,,სარინას“ არსებული ინფრასტრუქტურა“. **შესაბამისად, გაურკვეველია დაგეგმილი და საწარმოს ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ასევე სს ,,სარინის“ რა ინფრასტრუქტურას იყენებს კომპანია და რისი დემონტაჟია დაგეგმილი.**

ასევე დაზუსტებას საჭიროებს ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია: დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოში ამ ეტაპზე ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო ყველა ინფრასტრუქტურა მოწყობილია. თუმცა

ასევე დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ითვალისწინებს სანიაღვრე წყლების მართვის მიზნით სანიაღვრე წყლების შეგროვების და მართვის მიზნით არხებისა და ნავთობდამჭერის/სეპტიპის მოწყობას. გარდა ამისა, დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, მოწყობილია 54 მ3 მოცულობის რეზერვუარი. თუმცა განახლებული ზდგ-ის თანახმად, გათვალისწინებულია 2 ცალი 54 მ3 რეზერვუარი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ საწარმოში დაგეგმილია დაახლოებით 20 ნარჩენის კოდის მქონე ნარჩენის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე და დასაზუსტებელია როგორ მოხდება მათი ერთ რეზერვუარში დასაწყობება.

ასევე, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყალი გამოიყენება ტექნიკური მიზნებისთვის - მათ შორის გაგრილების სისტემისთვის, სახანძრო დანიშნულებისათვის და სხვ. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს ტექნოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე, წყლის გამოყენება საჭირო არ არის.

ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური აღწერილობა/ინფორმაცია ნარჩენების დროებითი შენახვის პირობების შესახებ, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების, რომელიც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოეწყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია მოწყობილი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის შესახებ, N145 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად;

გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საქმიანობისა და მისი მასშტაბის შესახებ შესაბამისობაში უნდა იყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა, აღდგენა-განთავსების ოპერაცია და ა.შ).

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12042-21-2-202411261158

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE